სამიზნე ცნება „ინსტიტუცია“

ავტორი: **ლელა მანგოშვილი**

საგან „მე და საზოგადოებას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია სასწავლო საგნებს შორის, რადგან დაწყებით კლასებში საფუძველი ეყრება მოქალაქის აღზრდას, ჭეშმარიტი ღირებულებების ჩანერგვას, საზოგადოებაში ქცევის წესების დაუფლებას.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნის სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც ფორმულირებულია სამიზნე ცნებების სახით.

რას ნიშნავს სამიზნე ცნება „ინსტიტუცია“?

უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ეს ცნება წარმოაჩენს, როგორ ზრუნავს სახელმწიფო მოქალაქეებზე, რა დანიშნულება აქვს კონკრეტულ ინსტიტუციას.

მინდა, გაგიზიაროთ მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილი კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეებს შეგვიძლია შევთავაზოთ თემა „ჩემი ქვეყნის“ შესწავლის პერიოდში.

სამიზნე ცნება: ინსტიტუცია

შედეგი: 7, 11, 15, 17

ძირითადი საკითხი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის როლი ჩვენს ქვეყანაში

საკვანძო შეკითხვა: რითაა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის? როგორ წარმოვაჩინო პოსტერზე მისი დანიშნულება?

კომპლექსური დავალების იდეა: გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობის ამსახველი პოსტერის შექმნა.

კომპლექსური დავალება

შექმენი პოსტერი, რომელზეც ასახავ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობას, რას აკეთებს ეს ინსტიტუცია იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებამ დაიცვას გარემო და გაუფრთხილდეს ბუნებრივ რესურსებს.

©განათლების e- სახლი

შეარჩიე ჩამონათვალიდან შენთვის საინტერესო საკითხი:

ა) ატმოსფერული ჰაერი

ბ) წყალი

გ) მიწა

დ) ტყე

ე) ნარჩენების შემცირება და ხელახლა გამოყენება

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:

- რა დანიშნულება აქვს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, როგორ ზრუნავს ეს ინსტიტუცია ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვაზე **(მ.წ. 1. 2);**
- რა პროფესიის ადამიანები მუშაობენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მათ **(მ.წ. 3).**

I ეტაპი – კომპლექსური დავალების ფორმა

როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლი საკითხის შესახებ?

რესურსები:

რესურსი 1. პოსტერების ნიმუშები

რესურსი 2. როგორ შევქმნათ პოსტერი (ელექტრონული ვერსია)

როგორ შევქმნათ პოსტერი?

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. პოსტერის ნიმუშების განხილვა, მსგავსება-განსხვავების პოვნა. დისკუსიის გამართვა;

აქტივობა 2. დაკვირვება რესურსზე, როგორ შეიძლება შევქმნათ პოსტერი. კითხვა-პასუხი.

©განათლების e- სახლი

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- აღწერე, რას ხედავ ფოტოებზე; ვიდეობმულში (რესურსი 1, 2).
- თქვენი აზრით, ვინ და რატომ შექმნა ისინი?
- რა არსებითი განსხვავებაა მათ შორის?
- რა მიზანს ისახავდნენ ავტორები პოსტერისა და ილუსტრაციების შექმნისას?
- რით განსხვავდება პოსტერები ილუსტრაციებისგან, ნახატებისგან?
- რა არის პოსტერი?
- რით ჰგავს ეს პოსტერები ერთმანეთს?
- რა საერთო მახასიათებლები აქვთ?
- რით განსხვავდებიან?
- რისი თქმა უნდათ ავტორებს ამ პოსტერებით? რა მიზნით შექმნეს ისინი?
- ვის რომელი პოსტერი მოგწონთ?
- აქვთ თუ არა მათ წარწერები, ილუსტრაციები?
- შეესაბამება თუ არა აზრობრივად ერთმანეთს წარწერები და ილუსტრაციები?
- თვალსაჩინოა თუ არა ავტორის გზავნილი?
- რა ვიზუალურ ეფექტებს იყენებენ? რამდენად გამოკვეთს გამოყენებული ეფექტები მთავარ სათქმელს? (მაგ., სხვადასხვა ზომისა თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივად განლაგება).

- **როგორ შექმნი პოსტერს?**
- **რა დაგჭირდება პოსტერის შესაქმნელად?**

II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1. რა დანიშნულება აქვს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს **(მ.ნ. 1),** როგორ ზრუნავს ეს ინსტიტუცია ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვაზე **(მ.ნ. 2)**.

რესურსები: „მე და საზოგადოება“, IVკლასის სახელმძღვანელო, II ნაწილი, პარაგრაფები 15-17 – ბუნება უნდა დავიცვათ.

©განათლების e- სახლი

დამატებითი რესურსები:

რესურსი 1. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი http://www.eiec.gov.ge/

რესურსი 2. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საბავშვო ვებპორტალი http://kids.eiec.gov.ge/

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. ვირტუალური მოგზაურობა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში.

აქტივობა 2. დისკუსია ვებპორტალზე განთავსებული თემების შესახებ.

აქტივობა 3. კითხვა-პასუხი სახელმძღვანელოდან.

©განათლების e- სახლი

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რას ნიშნავს გარემოსდაცვითი განათლება? რა დანიშნულება აქვს გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრს? (რესურსი 1, 2)
- რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის დაცული ტერიტორიების გაფრთხილება?
- როგორ ზრუნავს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოს დაცვაზე?
- გაიხსენე რისკის შემცველი გარემო ფაქტორები: ატმოსფერო, ნიადაგი, წყალი, საცხოვრებელი გარემოს ელემენტები (შენობები, სამუშაო და გასართობი ადგილები).
- რა უნდა გაითვალისწინოს ყველა ადამიანმა ტყეში ან ბუნებაში პიკნიკის დასრულების შემდეგ?
- რას აძლევს ბუნება ადამიანს?
- როგორ უნდა დავიცვათ ჰაერი?
- როგორ გავუფრთხილდეთ მიწას?
- როგორ გავუფრთხილდეთ წყალს?
- რა შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივი რესურსების გაუფრთხილებლობას?
- დაინტერესებულხარ ამ დრომდე მსგავსი თემებით? კიდევ სად წაგიკითხავს ან გინახავს ასეთი სიტუაციები?

- **როგორ ასახავ პოსტერზე**
  გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დანიშნულებას და ზრუნვას ჩვენი ქვეყნის გარემოზე?

ნაბიჯი 2. რა პროფესიის ადამიანები მუშაობენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მათ? **(მ.წ. 3)**

რესურსები: „მე და საზოგადოება“ – IV კლასის სახელმძღვანელო, II ნაწილი, პარაგრაფი 18 – ეს საოცარი ბუნება.

დამატებითი რესურსები:

რესურსი 1. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფუნქციები და ამოცანები.

©განათლების e- სახლი

http://kids.eiec.gov.ge/geo/

რესურსი 2. გარემოსდაცვითი ცენტრის თანამშრომლების მისია ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030

მწვანე კვირეული

რესურსი 3. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებპორტალზე განთავსებული თემები

http://www.eiec.gov.ge/

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. როლური თამაში

აქტივობა 3. 3-2-1 (სამი რამ, რაც დამამახსოვრდა, ორი რამ, რაც უნდა გავითვალისწინოთ, ერთი რამ, რაც არასდროს უნდა გავაკეთოთ)

აქტივობა 4. ინფორმაციის დახარისხება თემების მიხედვით, რას აკეთებენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლები ჰაერის, წყლის, მიწის, მწვანე საფარის, კლიმატის ცვლილების, დაცული ტერიტორიების გაფრთხილებისა და დაცვის მიზნით.

აქტივობა 5. მინიდისკუსია

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა პროფესიის ადამიანები მუშაობენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში? (რესურსი 1)
- რომელი მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს მათ? (რესურსი 1, 2)
- რა ცოდნა-გამოცდილება შეგძინა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლების მიერ ვებპორტალზე შემოთავაზებულმა თემებმა?
- რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა გაუფრთხილებლობას?
- სად უნდა დავრეკოთ გარემოსდაცვითი კანონდარღვევის შემთხვევაში?

©განათლების e- სახლი

- ხომ არ გაიხსენებ შემთხვევას, როცა შეძელი და ბუნება რაიმე ტიპის საფრთხისგან გადაარჩინე?

- **როგორ ასახავ პოსტერზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებს?**
- **რატომ არის მნიშვნელოვანი ცენტრში შეტყობინების გაგზავნა გარემოსდაცვით სფეროში კანონდარღვევის შემთხვევაში?**

შეკითხვები განმავითარებელი შეფასებისთვის:

- რატომ გგონია, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად პოსტერია?
- რა მიზნით შექმენი პოსტერი?
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი.
- რატომ გგონია, რომ შენ მიერ შექმნილი პოსტერი თვალსაჩინოა?
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანმიმდევრობით.
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადალახე? რატომ ვერ გადალახე? როგორ მოიქცევი მომავალში მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების მოთხოვნებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გამოყენებული ლიტერატურა:

. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, საგან „მე და საზოგადოების“ გზამკვლევი (შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტის, ნიკო სილაგაძისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ)

. ვებგვერდები:

http://www.eiec.gov.ge/

http://kids.eiec.gov.ge/

©განათლების e- სახლი